

## საქართველოს ფიზიკოსთა საზოგადოება (სფს)

სფს არის საქართველოს ფიზიკოსების ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება. დაარსებულია 1993 წელს საქართველოში ფიზიკური მეცნიერებისა და განათლების შემდგომი განვითარებისა და ფიზიკოს-მეცნიერებისა თუ ცალკეულ სამეცნიერო კოლექტივების საერთაშორისო სამეცნიერო სტრუქტურებში ინტეგრაციის მიზნით.

საზოგადოება შედგება ხუთი ძირითადი სექციისაგან, თანამედროვე ფიზიკის წამყვანი დარგების შესაბამისად: ატომბირთვისა და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა, კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა, პლაზმის ფიზიკა და ასტროფიზიკა, ბიოფიზიკა და გამოყენებითი ფიზიკა. ამ სექციებში გაერთიანებულია ხუთასამდე ფიზიკოსი, რომლებიც მუშაობენ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. საზოგადოების უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოებს წარმოადგენს პრეზიდიუმი. საზოგადოების პრეზიდიუმში შედიან: პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, სექციების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები. საზოგადოების პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები აირჩევიან საზოგადოების ყრილობა-კონფერენციაზე პირდაპირი ფარული კენჭისყრით სამი წლით და არაუმეტეს ორი ვადისა. საზოგადოების პირველი პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები იყვნენ პროფესორები ჯუანხერ ჩქარეული, ზურაბ სარალიძე და ალექსი გერასიმოვი (1993-1999).

საქართველოს ფიზიკოსთა საზოგადოება ევროპის ფიზიკოსთა საზოგადოების (European Physical Society) წევრია და ასევე მჭიდროთ თანამშრომლობს მთელ რიგ ცნობილ სამეცნიერო სტრუქტურებთან, როგორცაა საერთაშორისო კავშირი წმინდა და გაამოყენებად ფიზიკაში (International Union of Pure and Applied Physics, IUPAP), დიდი ბრიტანეთის ფიზიკის ასოციაცია (Institute of Physics, IOP) და სხვა. განსაკუთრებული დამოკიდებულება აკავშირებს საზოგადოებას ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოებასთან (American Physical Society). ასამდე ქართველი ფიზიკოსი დაჯილდოვებულია ამ საზოგადოების სპეციალური გრანტებით და დიპლომებით და ათი მათგანი არჩეულია საზოგადოების ასოცირებულ წევრად. თავის მხრივ, საქართველოს ფიზიკოსთა საზოგადოების საპატიო წევრებებად არჩეულ იყვნენ გამოჩენილი უცხოელი ფიზიკოსები: ლუსიენ მონტანე (საფრანგეთი), მაიკლ გრინი (დიდი ბრიტანეთი), ირვინ ლერჩი (აშშ), ჰოლგერ ნილსენი (დანია), ალექსანდრე დოლგოვი (რუსეთი) და სხვები.

სტაგნაციის მძიმე და ხანგრძლივი პერიოდის დროს, როცა ქვეყნიდან გავიდა პროფესიონალი ფიზიკოსების უდიდესი ნაწილი, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სერიოზული სამეცნიერო-საზოგადოებრივი საქმიანობა ქვეყანაში. დღეს საქართველოს

ფიზიკოსთა საზოგადოება უბრუნდება ჩვეულ აქტიურ სამუშაო რეჟიმს. გამომდინარე თავისი საერთაშორისო კავშირებიდან სფს ერთ-ერთ ძირითად ამოცანათ მიიჩნევს ხელი შეუწყოს ფიზიკის მეცნიერების ორგანიზაციისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების განვითარებას საქართველოში. როგორც ევროპის ფიზიკოსთა საზოგადოების სრულფუნქციონირების წევრი, სფს დაეხმარება ქართველ ფიზიკოსებს მიიღონ მონაწილეობა უამრავ სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელიც ამოქმედებულია ამ უზარმაზარი ორგანიზაციის შიგნით. ამ მიზნით მოეწყობა რეგულარული შეხვედრები წამყვან ევროპულ მეცნიერებთან, სპეციალური კონსულტაციები სტუდენტებისათვის და ახალგაზრდა მკვლევარებისათვის, ჩატარდება ლოკალური და საერთაშორისო კონფერენციები და სკოლები ფიზიკის აქტუალურ საკითხებში და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ფიზიკურ კვლევასა და სწავლებას რეგიონალურ უნივერსიტეტებში (ქუთაისი, ბათუმი, თელავი და სხვა), რომ უმოკლეს ვადებში ყველგან საქართველოში ჩამოყალიბდეს ერთიანი მაღალი სტანდარტი, ისე როგორც ესაა განვითარებული ევროპულ ქვეყნებში,

ამ და სხვა საკითხების განხილვას მიეძღვნება სფს 2012 წლის ყრილობა-კონფერენცია, რომელიც ჩატარდება 20 ივნისს ქ. თბილისში ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში. ამასთან ერთად, ყრილობაზე მოხდება სფს აქტიური წევრების ოფიციალური სიის დამტკიცება და შედგება საზოგადოების ახალი ხემძღვანელობის არჩევნები (ამასთან დაკავშირებით იხ. კვემთ „სფს წესდების მნიშვნელოვანი ამონარიდები“ და ასევე დანართები 2 და 3).

## სფს წესდების მნიშვნელოვანი ამონარიდები

### 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. სფს არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის და საკუთარი წესდების საფუძველზე.
- 1.2. საზოგადოება არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი, შტამპი და სხვა ატრიბუტიკა, აგრეთვე დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა (მათ შორის სავალუტო) ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში.
- 1.3. საზოგადოებას დადგენილი წესით უფლება აქვს:
  - თავისი სახელით ფლობდეს, სარგებლობდეს და განაგებდეს ქონებას წესდებით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად.

- თავისი სახელით დაამყაროს საქმიანი ურთიერთობები სხვა იურიდიულ და კერძო პირებთან, როგორც რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.
- აწარმოოს სამეცნიერო, საგამომცემლო, სამეურნეო და საწარმოო საქმიანობა მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 2. საზოგადოების ამოცანები

### 2.1. საზოგადოება მიზნად ისახავს:

- შეინარჩუნოს და განავითაროს საქართველოში ფიზიკური მეცნიერებისა და განათლების არსებული დონე.
- ხელი შეუწყოს მსოფლიოში აპრობირებული ფიზიკის მეცნიერების ორგანიზაციისა და სწავლების მეთოდების, სტრუქტურების, პროგრამების დანერგვას საქართველოში.
- ხელი შეუწყოს საქართველოს ფიზიკოსებს თუ ცალკეულ სამეცნიერო კოლექტივების საერთაშორისო სამეცნიერო სტრუქტურებში ინტეგრირებას.
- ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში სტაჟირებას და მივლინებას.
- დაიცვას საზოგადოების წევრთა ინტერესები, პროფესიონალური და ინტელექტუალური უფლებები არსებული (სამთავრობო და არასამთავრობო) ორგანიზაციებისა და სტრუქტურების წინაშე.

## 3. საზოგადოების წევრები

- 3.1. საზოგადოების წევრები შეიძლება იყვნენ მეცნიერ-ფიზიკოსები, ინჟინერ-ფიზიკოსები, საშუალო და უმაღლესი სკოლის მასწავლებლები (რომლებიც მუშაობენ ფიზიკის მეცნიერებისა ან განათლების დარგში), ფიზიკის სპეციალობის მაგისტრანტები და დოქტორანტები.
- 3.2. საზოგადოების წევრს უფლება აქვს:
- აირჩიოს და არჩეულ იქნას საზოგადოების ორგანოებში.
  - მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში, შემოქმედებით გაერთიანებაში ან სხვა მუშაობაში.
- 3.3. საზოგადოების წევრი ვალდებულია:
- დაიცვას საზოგადოების წესდება.
  - გადაიხადოს დაწესებული საწევრო ანარიცხი (სტუდენტები იხდიან მხოლოდ ანარიცხის ნახევარ).
  - წელიწადში ერთხელ გაიარო რეგისტრაცია.

#### 4. სფს სტრუქტურა და ხელმძღვანელი ორგანოები

4.1. საზოგადოება შედგება 5 ძირითადი სექციისაგან:

- ატომბირთვისა და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის სექცია.
- კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკის სექცია.
- პლაზმის ფიზიკისა და ასტროფიზიკის სექცია.
- ბიოფიზიკის სექცია.
- გამოყენებითი ფიზიკის სექცია.

4.2. საზოგადოების უმაღლესი ორგანოა ყრილობა-კონფერენცია, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ. სფს ყრილობა-კონფერენცია:

- ისმენს საზოგადოების პრეზიდიუმის ანგარიშს.
- შეაქვს დამატებები და ცვლილებები წესდებაში.
- ირჩევს საზოგადოების პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტებს.

4.3. საზოგადოების უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმოადგენს პრეზიდიუმი. საზოგადოების პრეზიდიუმში შედიან: პრეზიდენტი, სამი ვიცე-პრეზიდენტი, სექციების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები.

4.4. საზოგადოების პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები აირჩევიან საზოგადოების ყრილობა-კონფერენციაზე პირდაპირი ფარული კენჭისყრით სამი წლით და არაუმეტეს ორი ვადისა. საზოგადოების წევრი არ აირჩევა ამ თანამდებობაზე თუ მას უკავია წამყვანი ადმინისტრაციული თანამდებობა სხვა ორგანიზაციაში, ან თუ არის 65 წელზე ხნიერი.

რეგისტრირებულია  
საქართველოს რესპუბლიკის  
იუსტიციის სამინისტროს  
კოლეგიის 1993 წლის  
25.06 N13/8  
დადგენილებით